

F.343  
1962

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԳՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԳՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ  
ԿՈՄԻՏԵ  
ԿՈՒՆԱՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ  
ԿՈՒՆԱՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ  
ԿՈՒՆԱՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ



შთაგონებზე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.



F-343  
1962

# დიდი ილია

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში.

ილია პატარა ტანის, წუნარი, კეთილი და ყველასათვის საყვარელი ბავშვი იყო. წერა-კითხვას მის ტოლ გლეხის ბავშვებთან ერთად სწავლობდა. მოხუცებისაგან ისმენდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს და გადმოცემებს ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან.

გლეხის ბიჭები აცნობდნენ მას თავისი მშობლების გაქირავებულ ცხოვრებას და პატარა, ჭკვიან ილიას ხშირად აფიქრებდა ჩაგრულთა ბედი.

მამამ ილია თბილისის გიმნაზიაში მიაბარა სასწავლებლად.


ილიამ პატარაობიდანვე დაიწყო ლექსების წერა და თავისი კალმით მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართველ ხალხს.

ქართველი ხალხი დიდი მადლობით კითხულობს და სწავლობს მის მშვენიერ ნაწარმოებებს.

წელს შესრულდა 125 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან.

ნინო ნაკაშიძე

F-255



## წიგნი

ილია ჭავჭავაძე

გვალობ და გვალობ  
და იმით ვხარობ,  
რომ ჩემს ქვეყნას  
გალობით ვატკობ.

ჩემია წერა:  
მღერა და მღერა,  
ღსენა, გალობა,  
თავისუფლებს.





მეგობრები  
გვიხაროდნენ

# ნიჟოლოზ

# გოსტყუანგოვნილი

ნახატები შ. შაქინიძისა

მაძახებდა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა უურისგლება ზღაპრისა. გუჟაბა, დედამ რომ დახვალა მაძას ზღაპარი ეთქვა. მივცვივდით, ზოგი სელსე ჩამოვებობდენით, ზოგი ახალუხის კალთასეუდ.

— შენი ჭირიშე, მაძილო, ზღაპარი გვითხარი.

— ბატონი ხართ, აბა, წავიდეთ!

მაძა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავეყვიეთ. ოთახში ბუსარს ერთი ამბავი გაჭქონდა აზრიალებული ცეცხლისაგან. ბუსარის ზირღანირ ერთი გრძელი ტასტი იდგა. ავიდა მაძახენი, ტასტზე მოიკეცა, ჩვენც გარშემო შემოვუსხედით.

მაძამ დაიწყო:

„შე ადრეც მიამბია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტრებოდნენ თათრები, მოსვენებას არ გვამლევდნენ, ხან აქედან, ხან იქიდან მოგვკესოდნენ სოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით. უველას უვეარს, შვილებო, თავისი ქვეყანა,

და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბუერიც იმეტებდა თავს და სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით. აი, ერთი ამისთანა ვაჟკაცის ამბავს კეტვეით და კარგად დაიხსნოქეთ.


ერთს დროს ეიზილბაშების ვეინად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინი. ამ ვეინმა გამოჭკუნაუნა დიდი ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიჭიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიუარეს ქართველებმა მტრის დასასვედრად. გაიმართა ომი. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია. მე მარტო ერთს რასმე გავამბობთ, რაც ამ ომში მოსდებ. როცა გაცხარდა ბრძოლა, მაშინ გამოჭქუსლა ერთმა ეიზილბაშმა ცხენით და გამოვარდა მოედანზე რასმიდან. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ომში. ეწეინა ქართველ უმაწვილობას ასე თამამად და გა-

ბედულად ნაგარდობა ეი-  
ზილობაშია:—დასე, რო-  
გორ გვიბრძოლებს?! კაცად  
აღარ გვაგებებსო,—იძახ-  
დნენ.


ჭკრა ერთმა მოსწევილმა უძაწვილ-  
კაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო  
ეიზილობაში. ეიზილობაშია ჭკრა შიგ გუ-  
ლისფიცარში შუბი და საბრალლო ვაკეპცი  
უსწლოდ დაეცა დედამიწაზედ.

— დედის ძუძუს არ შემრგებია, თუ  
მაგის სისხლი შეგარჩინო, — დიძახსა

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,  
თუ სიმართლისთვის დამიჩრუნგებ?



ასლა სწვამ და მიაგდო ცხენი ეიზილ-  
ბაში. ეიზილობაშია ესეც ჩამოაგდო ცხენი-  
დან. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გა-  
ვიდა მესუთე და ეველას იგივე დღე და-  
აყენა თათარმა. ასეთი უძაწვილი კაცები  
დაჰსოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინა-  
ტრებდა. შეწუნდა ქართველობა: ეს სირ-



რომ ბედში მყოფი მენ ძმად მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,

საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

მ — ი

ცხელი როგორა ვჭამოთ, მინ რა სახელით-ღა მივიდეთ. ვუელას შიში და ფიქრი მიყვა. ის ეიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზედ ცხენს.

— ნიკოლოსი სხდ არის, ნიკოლოსი! — დაიძახეს ქართველებმა.

— ნიკოლოზ გოსტამაბიძეილო, ნიკოლოზ! — გაჭკვილეს აქეთ-იქიდან ჩვენებმა.

გოსტამაბიძეილი თურმე გაცხარებულ თმში იყო და ამ კვილიზე ომიდან გამოვიდა. მისცვივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უმაბეს.

— სხდ შემიძლია მე ასლა დაბურებულსა და დაჩანანაკებულს იმასთან ომის გასწორება, — უთხრა ემაწვილებს გოსტამაბიძეილმა, — ვერა ჰხედავთ, ასლად ულვამ-პლილი ვაჟკაცია, კაცი ღმოსა ჰგავს.


— სუთი ვაჟკაცი მოკვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ! — შეეუდრნენ ჩვენები.

გოსტამაბიძეილმა ასხენა ღმერთი, აუკრიბა სხდავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჭკრა, ისკუზა და თვალის დასამაშების უმაღ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ეიზილბაშმა წამოუდგინა თავისი მუბი, გოსტამაბიძეილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯუედ მოუვიდა, რომ ქების კაყინა დასცეს. მანამ ეიზილბაში მეორედ შეუტევედა მუბით, გოსტამაბიძეილი ცხენ-და-ცხენს ეცა, ერთი-ორი ღონივრად შეჭბდურტა და ცხენიდან მიწას დასცა. ასე რომ დაცემულს ადგომა გაუშველდა. ჩამოსტა ცხენიდან გოსტამაბიძეილი, ააყენა ეიზილბაში ფესზე და უთხრა:

— ნუ გეშინია, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიაპტიებია. ცოდვია შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვილობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისჯანვე ვიჩუქებდი, მართო შენისთანა ვაჟკაცისაჯანათ, — უპასუხა ეიზილბაშმა, სხლამი მისცა და წავიდა.





# „ნიდა“

რ. ლალიშვილი

ნახატები ბ. კოინიშვილისა

ბაქოელ რევოლუციონერებს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ საზღვარგარეთიდან წერილი გამოუგზავნა. წერილი ჯერ ჟანდარმერიაში გახსნეს. ჟანდარმერიის უფროსმა—ერთმა ახმახმა კაცმა სათვალე მოირგო და მარცვალ-მარცვალ წაიკითხა:

— „ნი-ნა-ს ხელ-სა-ქმე ჩი-ნე-ბულია!“

მერე კმაყოფილმა ჩაილაპარაკა:

— უბრალო მოკითხვის ბარათია, საეჭვო არაფერი სწერია, მიუტანეთ ადრესატს!..

ხშირად მიდი-მოდიოდა ასეთი „უწყინარი“ ბარათები:

— „ნინას მამა ქალაქ სამარიდან დაბრუნდა!“

— „ნინა თავს ჩინებულად გრძნობს!“

ვინ იყო ნინა? რა ხელსაქმეზე ლაპარაკობდა დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეუღლე და თანამებრძოლი?

წერილის შინაარსი კი სულ სხვა იყო, იგი ჟანდარმების თვალის ასახვევად იყო დაწერილი ასეთი უწყინარი სიტყვებით, სინამდვილეში ეს წერილი იმას ნიშ-

ნავდა, რომ ლენინი და მისი თანამებრძოლები იწონებდნენ ბაქოს არალეგალური—ფარული სტამბის საქმიანობას.

ეს სტამბა ჩვენმა თანამემამულემ, გეზნებარე რევოლუციონერმა ლადო კეცხოველმა დააარსა.

ჟანდარმები რომ ვერას მიხვედრილიყვნენ სტამბას „ნინა“ დაარქვეს, ხოლო მის დამაარსებელს ლადო კეცხოველს კი „ნინას მამა“.

იმ დროს ბაქოში ძალიან ბევრი მუშა ცხოვრობდა. ისინი ნავთობის ამოღებაზე მუშაობდნენ. მეფის მთავრობა და კაპიტალისტები მათ ნაშრომს ითვისებდნენ, მშრომელებს ლუქმა პურის ფულიც კი არ რჩებოდათ, ამიტომ ბაქოელი მუშები იბრძოდნენ პურისა და თავისუფლებისათვის.

1900 წელს ლადო კეცხოველს პარტიამ სტამბის შექმნა დაავალა. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. ჯერ ერთი, ქალაქი მოფენილი იყო ჯაშუშებით, მეორეც—სად იყო ფული სასტამბო ხელსაწყოებისათვის!



პოლიცია და მშვენიერების დაცვით დაეძინა ლადომის რევოლუციონერებიც მუშაობა გაძნელდა, ამიტომ სტამბამ დროებით შეწყვიტა მუშაობა და „ნიმას მამა“ რუსეთში გაემგზავრა. ბაქოში რომ დაბრუნდა ვიქტორ ბაქრაძეს გადამალული სასტამბო შრიფტის უკან გადატანა დაევალა.

ლადო კეცხოველი მალე დააპატიმრეს. ჯერ ბაქოში აპოფეს, მერე თბილისში გამოიყვანეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს.

1903 წლის 17 აგვისტოს, დილით ციხის სარკმელზე მომდგარი მეფის მთავ-

ლადომ, როგორც იქნა 700 მანეთი იშოვნა, მაგრამ ეს თანხა არ კმაროდა. საქმე რომ გაჭირდა, ლადომ თავის ძმას მისწერა: — სწავლისათვის 200 მანეთი მჭირდებაო! ძმამ მაშინვე გამოუგზავნა ფული.

და აი, 1901 წლის დასაწყისში ბაქოელმა რევოლუციონერებმა მოაწყვეს ფარული სტამბა. ეს სტამბა ერთ-ერთი სახლის სარდაფში იყო მოთავსებული, რომ მეფის ჯაშუშებს არ მიეგნოთ.

აქ ასოთამწყობად პირველად ვანო ბოლქვაძე და ვიქტორ წულუკიძე მუშაობდნენ.

ამ სტამბაში დაიბეჭდა და გავრცელდა ლენინური გაზეთი „ისკრა“. აქ გამოვიდა გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერიც.

დაბეჭდილი ფურცლები ფარულად ვრცელდებოდა მუშებს შორის.

„ამ საქმის მოთავეც ლადო კეცხოველია, რომელიც დემეტრე შვილის გვართ იმაღებო“, — წერდა ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი 1902 წლის მარტში.



რობის ჯალათებმა მოჰკლეს ლადო კეცხოველი, — „ნინას მამა“. „ნინამ“ კი სიცოცხლე განაახლა, ისევ იბეჭდებოდა გაზეთები და პროკლამაციები, რომლებიც ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს.

\* \* \*

... ამის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი ვაეიდა, ბაქოში—იმ პატარა სახლში ახლაც არის ის სტამბა, „ნინა“ ახლაც ცოცხლობს, მაგრამ იგი ფარული სტამბა კი არ არის—მუზეუმი.

მილიან მშრომელები, მოსწავლეები, პიონერები და ეცნობიან „ნინას ხელსაქმეს,“—მათი შემქმნელების საგმირო ამბებს.

ასე გადარჩა „ნინა“ სამუდამოდ.



## საუბარი

ილია სიხარულიძე

ქეთინო: — ბებო, ტყეში წავიდეთ, იქ ბევრია ყვავილი, სოკოც არის, მაყვადიც, ჰაერზედაც გავივით.

ბებია: — ეჰ, ქეთინო, დაგებრდი, ვერ დაგვიპარ, ვიღებო, ტყე აქედან შორს არის, დამეღებო მუხლები.

ქეთინო: — ბებო, ტყემდე აქედან ორი კილომეტრია!

ბებია: — ცლები, ჩემო ქეთინო, ორჯერ უფრო მეტია!

ქეთინო: — ოთხი არის?.. მერე რა? მე გომევი, მე, ბები: ორს—მე, ორს შენ გავივით. მაშინ არ დაიღებო!

ნახატი შ. შხაბაძისა

# ჩახრილა

ბევრი სოფელია ჩვენში—ზოგი დიდი და ზოგიც პატარა, მაგრამ ჩახრილას მსგავსი ცოტაა. აქ სახლები ერთმანეთის გვერდით როდი დგანან—ერთი რომ მთის ფერდობზეა წამოსკუპებული, მეორე შორს დაბლობში მოჩანს.

სკოლაც პატარაა ჩახრილაში—სულ ათი ოქტომბრელი სწავლობს. ათნი არიან, მაგრამ ყოჩაღები.

დიდელა სალომე გაოცებული დაპურებდა ბოსტანს—გუშინ ორი კვალი დაბარა და გათონა, დღეს კი სამი კვალი მოვლილი. სიბერეს რა ვუთხრა, ანგარიში შემწლიაო,—გაიფიქრა მოხუცმა.

მაგრამ მეორე დღეს იგივე რომ განმეორდა, ძალიან გაუკვირდა.

ერთხელ, ნაშუადღევს ღობის იქით რალაც ფხაკუნი და ჩურჩული მოესმა. შემდეგ ეზოში ვილაცამ შემოიხედა და დანარჩენებს ხელი დაუქნია:—მოდიეთ, არავენ არიანო.

ხუთი გოგო და ბიჭი გადმოეცლო მესერს. ხელში თოხი და ბარი ეჭირათ. მარჯვედ ტრიალებდნენ ბოსტანში, დათესეს კიდევ.

უცქერდა დიდელა სალომე და სიხარულის ცრემლი მოსდიოდა. რაც მისი ბიჭი სამხედრო სამსახურშია, ბოსტანს ვეჟაკის მარჯვენა არ მიჰკარებია; ახლა კი ერთად შეუტია ხუთმა პატარა მარჯვენამ. მათი მაღლიერია დიდელა სალომე!





დედა და მამა უნაწი არიან სამუშაოდ წასული. მალე მოვალთო,—დაიბარეს, მაგრამ შეაგვიანდათ, რა ჰქნან პატარებმა! მოსწეინდათ და ერთმანეთის რომ არ რცხვენოდეთ, ალბათ იტირებენ კიდევც.

უცებ გურამმა ლობის ძირში კურდღელი დაინახა, ხის პატარა კურდღელი. გაოცებით შეხედა, მაგრამ როდესაც კურდღელმა გრძელი უურები აათამაშა, გულიანად გაეციონა. მივარდა, მაგრამ კურდღელი ლობისკენ ახტა და ახლა მისი ადგილი მელიამ დაიკირა. რა ლამაზი იყო! რა მარჯვედ ატრიალებდა მსუნაგ თვალებს და ფაფუკ თათებს!..

მაროს და გურამს დავიწყდათ დედაც და მამაც, სათამაშოებისკენ გაექანენ. თურმე ნუ იტყვიო, თინა და გოგი კანაფით ამოძრავებდნენ ბაჰისას და მელისას. ახლა ოთხივემ ერთად დაიწყო თამაში. ვისლა ახსოვდა ტირილი!

და აი, უოველთვის, როდესაც მარო და გურამი მოიწყუნენ, ოქტომბრელები იქვე გაჩნდებიან. და ვანა მარტო მათთან, მთელი სოფლის პატარებთან. ბევრი, ძალიან ბევრი სათამაშო დაუმზადეს მაროს, გურამს, ნათელას, ციალას, გოგის, ყუყუნას და სხვა გოგო-ბიჭებს.

ოქტომბრელებს ბევრჯერ უნახავთ მდელოზე მოკუნტრუშე შველი. შორიდან უცქეროდნენ და ახლოს არ ეკარებოდნენ, არ დაფრთხნისო.

ახლა კი შველმა ზედ ცხვირწინ ჩაუქროლათ, შეშინებული თვალები ჰქონდა. მართლაც, მალე მონადირეები გამოჩნდნენ.

— საით გაიტყა შველი?—შესძახეს ბავშვებს.

და ყველამ, თითქოს მოლაპარაკებულები არიანო, ტყის ნაცვლად ხეობისკენ გაიშვირა ხელი. მონადირეები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ.


ასე გადარჩა შველი.

\* \* \*

თუ ოდენსმე ახმეტის ახლოს, ილტოს ხეობაში მოხვდებით, არ გაგვირდებათ ამ სოფლის მოქებნა,—იქ, სადაც მთიდან გზის პირს წყარო გადმოჩრიალებს, აი, სწორედ იქ არის სოფელი ჩახჩრიალა.

ეწვიეთ, გაიცანით იქაური ოქტომბრელები!

გურამ ბახბაძე  
ნახატი ლ. დანელიანი



# ბუნება

4. მარტი

ზენ სხლის თვის  
კობა ბუნე ამხრებს,  
იყო, ანა მარტოებს  
თამბაქო დღე ამხრებს.

ახლა, რაც ხარვეზი  
დარჯებს და ვარდებს,  
მალე გაბრუნებს,  
დაწყვეტს ხანაობებს.

მე დარჯად დარჯებს,  
მოკლე ვარდებს,  
გაბრუნებს ხარვეზებს  
მალე ბუნე დარჯებს.



# ა მ ბ ე ნ ბ ე ბ ე ბ

1. მარტი

დღედა თინათინ ქალაქთან შობს წყვილა სამუ-  
შაოდ, თავის შვილებს თამარ და დარჯაქ თან  
წაქვანს.

თამარს ველი დარჯა.

— ავეტბუნებ სიღაც თქნებოი.— პოეტიურს დე-  
დას.

— იქაც ქალაქი?

— არა, იქ ვერც ცარიელი ადგილია, ქალაქი მალე  
აჩვენს.

ორი თვე არ იყო გასული, თამარს დღედაშვი-  
ლებს მაშურია. ის ადგილი მართლაც ცარიელი იყო  
და მშენებლობას ახლა იწყებდნენ!

თინათინს სამუშაო ადგილიდან სულ ნაღებებს  
ქტილი იმბოდა. დილით უფროსი გასული დედა გვიან

სიღამოს ბრუნდებოდა  
შობს, რაცა შობს არ  
იყო, ხავეზებს დიდებს  
და მას უღლიდნენ.

ერთხელ თამარს  
დღედას სთხოვა:

— დღეს შენთან წა-  
მეყავე რა!

— სიღა?

— სიღაც ნაღებზე  
სკვებს.

— შენ იქ დედას მარცხალით  
დაიკარგები ხაღბო!

მამის თამარს ვუნებს ვიფიქრა!  
შემოს თითონ ამოვად, წყნო თე-  
ლით ენახე ქალაქს შენებს.\*

— ადრე დავიბრუნო!— შეტყვევა თამ-  
არს და დარჯას.

— რატომ?

— ადრე აუღვებით.

თამარი და დარჯა დავითმხმენ...

მეორე დილით ხავეზებს დიდებს  
შეუბნებულად გარეთ გავიდნენ. ცხობი მამ-  
ას ამდები ტრიალებდა, ცხობი ორთავა-  
ში ამბდა.

— ადრე ამდებოვს უხაროდეს,— მიხე-  
დის მას შვილიშვილებს.

ორთავაზე რბოთ ხავეზები ბიჭონები  
წერა. ცხობი ფრუტუნებოი, ტრადელი კე-  
ლით ბუნებს იფიქრებდა.

— მამა, წავეყავე შენთან!— შეტყვე-  
ვა თამარს.

— იმარბოთ, თქვე ვწამებო? რაც  
იყოს, იყოს, დასვებით!— თქვა მამა.

კოფოზე სანქტიუბებოი მამა-შვილი-  
შვილებს მშენებოი სანათობა ველით

სამარტი 20. მარტი

ხევის მალე კლდეებზე ამოსულიყო,  
ცხობი კამარს უღლიდნენ პირებოი. მლი-  
ნახე ვადამოქტული, მარტებს მოგვრე-  
ვოდა.

— საით მიმქარის ეს მღინარბო?—  
იკითხა თამარს.

— ზღვისკენ,— მოვყო ახლამს.

— საიდან მოდის?

— მთებიდან.

— ეს არ ვწლებო?

— არა.

— რატომ ვწლებო?— შეტყვევა თამარ-  
ს მამას.

— ამა, სიღა?— ვარკვია მობტო.

— წიქტილით რაფიო ვერცხვად გა-  
ღვრეებით, ღრით ვარბოთათვის  
მეწვით.

— ეს მობასლი სოფლის დიდი ქო-  
მეგია,— ვაღობა ახლამს,— დობას ამ-  
არბებს პურს, სიმინდს, ვერს იმ წიქ-  
ტილზე ვწვითო. რაფის წყლის სარწა-  
ვდაც ვწვითო. დიდი მალა აქვს, შე-  
ლო, მღინარბო.

ამ ღამსაქმი კიდევ მოვიდნენ მშენ-  
ებლობაზე. ორთავა სისაღობის წინ

# მკვებრი

2. მარტი

სას რეველი მკვებს,  
თან პუნობი ბუნის,  
დახანს კახს,  
დახანს სას:  
ფრუტუნაო,— მამა,  
მამას კიდებოვს.  
ეი, კახს მამო,  
ხელ დავალიე ქანებოი,  
დავეყავომა რაფელი,  
კახს რაფელი მკვებს,  
რამ ზამბინა მკვებს,  
ვუნებს წინ მკვებს.



გაჩერდა. პაპამ და სასადილოს გამგემ რძის გადმოტვირთვა დაიწყეს. ბავშვებმა იღროვეს და ზემოთ გაიპარნენ.

მდინარის ერთ მხარეს მთა შუაზე გაეჭრა. მეორე მხარეს კი კლდე გაეხვრიტათ. მანქანები სამუშაოს დასვოდა. დიდი და მხიარული გუგუნე იღგა ხეობაში.

მეექვსკავატორე როსტომმა სახაპავი მიწას დაანარცხა და ორი-სამი მოსმით აავსო თვითმცლელი. როცა თვითმცლელი ავტომანქანა წავიდა, როსტომმა თავი გამოჰყო კაბინიდან:

— აქ რას აკეთებთ, ბავშვებო?

ბავშვები დაიბნენ, მაგრამ თომიკომ არ დაუთმო:

— თქვენ თვითონ რას აკეთებთ, ძია? როსტომმა გაიცინა.

— ჩვენ აქ დიდ ჰიდროელექტროსადგურს ვაშენებთ. იცით, რა არის ელსადგური?

— ვიცით!—ერთად წამოიძახეს ბავშვებმა.

— სად გინახავთ?


— თბილისთან და ქუთაისთან. მატარებლის ფანჯრიდან ზაპვის და რიონპისი ორივე კარგად მოჩანს.

— ჩვენც გვინახავს, ჩვენც!—წამოიძახეს თამრიკომ და დათუნამ.

— ახლა, ხედავთ, ბავშვებო, ამ ხეობის ჯერიც დადგა, აქაც ვაშენებთ ელქტროსადგურს.

— როგორ აშენებთ?—შეაწყვეტინა სიტყვა დათუნამ.

— მდინარეს გვირაბში შევუშვებთ. მშრალ კალაპოტში ამოვიყვანთ გადამლობ კედლებს. ხეობას ავაყვებთ წყლით, ქვემოთ ტურბინებს ჩავდგამთ. ნაგუბარ





წყალს ასლანის წისქვილივით მიუღუშვებთ ტურბინებზე. ტურბინები კი მოგებსენებათ, ყმაწვილებო, ელექტროდენს გააჩენენ.

— ხეობას გაანათებთ?— შეეკითხა თამრიკო.

— მარტო ხეობას კი არა, მრავალ ქალაქს, სოფელს, გზას და ბაღსაც გაანათებთ.

— კიდევ?— არ უსვენებდა თამრიკო.

— ელექტროდენით მრავალ ათას მანქანას და დანადგარს ავამუშავებთ.

— ყმაწვილებს დამიხედეთ!— გაისმა მანქანების გუგუნში პაპას ხმა და ცარიელ ორთვალას ხრიგინი, — მე კი ამათი ძებნით მოვკვდი ამხნის კაცი!

— კარგი, პაპა ასლან, აბა, ჩვენთან რა უნდა გაჭირვებოდეთ ბავშვებს?— გაიკონა როსტომმა.

პაპამ ბავშვები მდინარის ნაპირას ჩაიყვანა. ტალახში დასერილი ხელები და აბანინა, ტანსაცმელი გაუბერტყა.

თომიკო ქებაზე ჩამოჯდა. ყური მიუგღო მდინარის შხუილს. წყალი თითქოს აღამიანიაო, ბუტბუტით ვუბნებოდა გონიერ ყმაწვილს:

— გვირაბი ცოტათი გამიხრის ზღვისაკენ საველ გზას, მაგრამ ეს არ მწყინს. თუკი აღამიანის სამსახურში ჩამაყენებენ, თუნდა აღმა მატარონ!



პ. ბელოვანი

## ჩვენი ეპიზი

თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მერვე საბავშვო ბაღს.

დღილი ზოგჯერ მოდის მერი ჩვენს საბავშვო ბაღში, ყრიაშულით ეგებება უთვალავი ბავშვი.

პირს აღებენ, კბილებს კრეშენ, მაგრამ არვის შერცხვენს; უზრდლობა არ დასწამოთ ამ პატარა მერცხლებს.


მერი კბილის ექიმი, ყველას შეუყვარდა, მერის ოქროს ხელები აქვს, ოქროს გულის გარდა.

აი, მორბის ცეროდენა გოგონა და მღერის; «ჩემთან მოდის, მე ვუყვარვარ ჩემს დეიდა მერის!

მე პირველად გამისინჯე კბილი შატრისფერი! დედას ვფიცავ, არ ვიტირებ, პო, დეიდა მერის!»

მღერის ნანა და ბანს აძლებს უთვალავი ბავშვი: «გვიხარია მერის მოსვლა ჩვენს საბავშვო ბაღში!»

# კოსმონავტი



3. ვალენტიჟოვი

ნახატი პ. ანაქაძისა

(მასწავლებლის ნაამბობი)

ახალი მოსწავლე ბოლო მერხზე იჯდა. არ შეიძებოდა, არ შეგენიშნათ, ისეთი წითური თმა ჰქონდა.

— საიდან გადმოხვედი? — შევეკითხე.

— ჩვენი სახლი დანგრევაში მოჰყვა და ახალი ბინა მივიღეთ.

— რა გვარი ხარ?

— კნიაჟინი.

— გეოგრაფიას როგორ სწავლობდი?

— გეოგრაფია ჩემი საყვარელი საგანია.

ბავშვის ასეთმა პასუხმა მასიამოვნა, მე ხომ გეოგრაფიის მასწავლებელი ვარ.

— მაშ, გამოდი რუკასთან და გაიმეორე, რაც აგინახე-ნით, — მივმართე ახალ მოსწავლეს.

მან შეუცდომლად გაიმეორა. მომეწონა მისი პასუხი.

ერთი კვირის შემდეგ უფროს პიონერხელმძღვანელთან ვნახე სია იმ ბავშვებისა, რომლებიც ეწერებოდნენ სხვადასხვა წრეებში. გეოგრაფიის წრეში პირველი კნიაჟინი ჩაწერილიყო. შემდეგ გადავფურცლე სხვა წრეების სია და ყველგან შევხვედი კნიაჟინის გვარს.

„საოცარია, — გავიგე გუნებაში, — სერიოზული ყმაწვილია და არასერიოზულად კი იქცევა“.



## ღრუჭუნა

ნ. თარგამაძე

ღრუჭუნით და ხენეშით დახვალ აქეთ-იქით, ყველაფერში გინდა ჩაპკრა შენი ღინგი.

ღრუჭუნიავ, შენი არაფერი მესმის, მშიერი ხარ — ოხრავე, მაძლარი ხარ — კენესი!

არ გცოდნია თურმე, ღორო, ჭამის წესი, თავის ქერქიანად რად მიირთვი ნესვი?!

# ბაბა

## წ. ვალაზიშვილი

შესვენებაზე გამოვიძახე და ვკითხე:  
— რატომ ჩაწერილხარ ყველა წრეში ერთად? იქნებ ვერ გადაგიწყვიტია, რომელი საგანი გიტაცებს ყველაზე უფრო?

— როგორ არა, ვიცი, მაგრამ ასეა საჭირო. ეს ჩემი საიდუმლოებებია.— მომიგო ჯიუტად.

— შენი საქმეა, ოღონდ ეს იცოდე, თუ ყველა წრეში მონიშნომებ მეცადინეობას, მაშინ გეოგრაფიისათვის დრო აღარ დაგჩრება და ტყუილად ნუ ჩაეწერები.

— ჩემთვის ყველაფრის ცოდნაა საჭირო, მე ხომ კოსმოსური ხომალდის მფრინავი მინდა გავხდე!— აღდეგებით მიპასუხა კნიაჟინმა.

— ჰოლ... აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე...— მერე გაბედულ თვალებში ჩახედე და გავიფიქრე: ეს ნამდვილად გაფრინდება— შეთქი.

სამი თვის განმავლობაში მას გეოგრაფიის წრის არც ერთი მეცადინეობა არ გაუტყდენია. შემდეგ კი მოულოდნელად შეწყვიტა სიარული. გააკეთილებზეც დაბნეულობას იჩენდა. გადავწყვიტე, მოვლაპარაკებოდი კნიაჟინს.

ერთხელ წიგნების მალაზიაში დახვდნენ ვიდეკი და ზურგს უკან ნაცლობი ხმა შემომესმა:  
— ხალი წიგნები ხომ არ მიგილიათ?

მამა რომ სახლში მოდის, ხათუნა იწყებს ტიტინს, ხათუნას უყვარს მამა, მამის ხელები ღიღი. არ უყვარს მხოლოდ ერთი საჩვენებელი თითი.

როცა ხელს ჰკიდებს მამის სათვალესა თუ წიგნებს, «ციც»-ო,— აფრთხილებს თითი და შეაჩერებს იქვე. «ციც»-ო აქეთ და იქით, თითქმის ხმას იღებს თითი.

ხათუნას მამა უყვარს, მამის ხელები ღიღი; არ უყვარს მართო ერთი საჩვენებელი თითი.

F. 2550



მივხედე. ჩემს წინ კნიაჟინი იდგა სათვალეებით.

— ეს შენა ხარ, კნიაჟინი!— დაიწყო მე, მაგრამ მეტის თქმა ვერ მოვასწარი, ის შურდულივით გაგარდა გარეთ. დავედევნე:

— კნიაჟინი!— ვუყვიროდი, — კნიაჟინ, შეჩერდი!

კნიაჟინი შეჩერდა და ჩემსკენ გამოსწია. ის არ მიყურებდა, სათვალე მოიხსნა, თავი ძირს დახარა.

— რა დაგემართა, ბიჭო, რამდენი ადამიანი ატარებს სათვალეს, მაგრამ სამარცხეივნოდ არ მიაჩნიათ!— შევეძახე მე.


მაშინ კნიაჟინმა თავი აიღო და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— მე ხომ აღარავინ გამიშვებს მფრინავად! გავიგე, რომ ახლომხვედვებს არ იღებენ კოსმოსურ ხომალდებში... ამიტომ მძულს ეს სათვალე.

— ტყუილად სწუხარ,— ვუთხარი მე, — შენ ხომ შეგიძლია კოსმოსური ხომალდით გაფრინდე, როგორც ასტრონომი, ინჟინერი, ან ექიმი. ნამდვილად შეგიძლია!

— მაშ, თქვენის აზრით, მართლა შემიძლია გაფრინდე კოსმოსში?! — ამას თვითონ როგორ ვერ მივხვდი?! — გაბრწყინებული თვალებით მომაჩერდა კნიაჟინი.

მე კი გავიფიქრე: „რა კარგია, როცა ადამიანს ასეთი ნათელი მიზანი ამოძრავებს ცხოვრებაში და რომ მომაგადი ვერ კიდევ წინ აქვს!



ფუტყინა კლ. ასლამაზიანი

ზ. შარაზალიშვილი

# ქ ვ ე რ ც ხ ი

ფეფერება თეკლე  
საბუღარში დედალს:  
— ჩქარა დადე კვერცხი,  
რომ წაუფლოთ დედას.

გაგვიკეთოს ხელად  
დედამ გოგლიმოვლი,  
ნახევარი მე, და  
ნახევარი გოგისი.



∴

მარჯვედ ჰგვიან ებოს  
ოტიო და ნანი,  
იჩქარიან, არ სურთ  
გააცდინონ წამი.

დაიძახა დედამ:  
— ჩქარა მოდიოთ, გელით,  
გაიბერტყეთ მტვერი.  
დაიბანეთ ხელი.—

მაგრამ აარიდეს  
თავი საქმეს ადვილს,  
უსუფთაო ხელით  
მოითხოვენ სადილს.

# თ ბ ე

ა. ჩიქოძე

განა რა ღაგიშავეთ,  
რომ მიმაგდეთ კუთხეში?—  
კაბას მიხვეს ხან ფისო,  
ხან მურია უხეში.

გვედრებით, ბავშვებო,  
წამიყვანეთ ბაგაში,  
მინდა თქვენთან სიმღერა,  
თქვენთან ცეკვა-თამაში.



ნახატები ი. აკლიშვილისა

დათვმა რომ არ წამაქციოს  
მე, პატარა ფაღვანი,—  
მუთაქებით, ბალიშებით  
ამიშენეს ვაღვანი.

ფისო, ფისო, ფისო  
სახურაგებ ზისო.  
საფუნია დაიჭირა,  
ძირს არ ჩამოღისო.



# ტუტე

თ. ჯანაშვილი

ჯერ თვალთაგ ვერ ხედავს  
და გზავ ვერ გაუგნია,  
მიცნაღლებს ბანგალით  
ციცქნა ცეცხა—ცუვრია.

აბა, რა ქნას ცუვრიათ,  
ჯერ პატარა თუკია!



# ბიყვი

1. ბავაშვილი

ხიდან-სეზე დავხტუნავე,  
სულაც არ მეძინია,  
მუდამ რომ ვაქნატუნებ,  
ვეძრეილი თსილია.



თ. ჯაპახიშვილი

ბებიამ ელისოს შენიშვნა მისცა:  
— თუ ასე მოიქცევი, თვალით არ და-  
მენახო!  
ელისომ თვალები დახუჭა.  
— რად დახუჭე თვალეები?— შეეკითხა  
ბებია.  
— ველარ დამინახავ!— უპასუხა ელი-  
სომ.

დათომ ელექტრონის პაწაწინა ნათურები  
აანთო, მერე ტელეფონის ყურმილი აიღო  
და ვითომ ამხანაგს დაელაპარაკა:  
— ვფთა, ხედავ ნათურები როგორ ანა-  
თებენ?!



# გამოცანები


პლ. საჩინოლი

სათნაა და მეტად მშვიდი,  
მუდამ ქურკით დადის იჯი.

კუდაგრძელი, ფაფარიკი,  
ჯირითა და თოხარიკი.

2. პაითაბაე

ხერბი აქვს—სახლს ვერ აშენებს,  
ხელოსანია ამგვარი;  
არ შეუძლია პურის მკა,  
ტყუილად დააქვს ნამგალი.



# მეგობრობის ვალუონი

46.19/115

აბა, თუ მიხვდებით, ვინ ვის ელაპარაკება და რომელი ქვეყნის ბავშვები არიან, გეგონებთ?



გერმანული საბავშვო ჟურნალიდან

<p>ბავშვთა მკვლევართა ინსტიტუტი, საქართველოს შინაგან დაგეგმვის მინისტრის № 51, ტბ. 3-37-32.</p>	<p>უდაბე „დღეახტაწაულო“ ნახატი <b>ჩ. ლულაშვილი</b></p>	<p>ფასი 20 ლ.</p>
<p>რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. საზოგადოებრივი კავშირების განყოფილება, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101. (რედაქტორის მისამართი). მ. ხახარაძე, ნ. უნაგვიანი, ლ. შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორები), ტბ. რედაქტორი გ. რაიჩიშვილი</p>		
<p>გამოცემის ოცდამეოთხეტი წელი. რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101. საბავშვო კავშირი, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101. (რედაქტორის მისამართი).                  გამომცემი: „საბავშვო“ გამომცემლობა, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101. ტელ. 30000. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101. (რედაქტორის მისამართი).                  გერმანული საბავშვო ჟურნალიდან. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101. (რედაქტორის მისამართი).                  1962 წ. მარტი. № 2.                  Д. И. А. — на русском языке. Тбилиси, прим. Писателя № 91.</p>		